



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგია / Georgian Philology
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფილოლოგიის ბაკალავრი /Bachelor in Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p>
პროგრამის ხელმძღვანელი	პროგრამა შემუშავებულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაში დარგისთვის აუცილებელი ფართო ცოდნის მიღებას ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის ისტორიის, ქართული ფოლკლორის, ქართული ლიტერატურული მიმდინარეობების, ლიტერატურათმცოდნეობის, კულტუროლოგიის, სალიტერატურო ენის ისტორიის, ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურული მოვლენების, პროცესების შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს დარგის ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების ახალი ასპექტების ცოდნის მიცემას სტუდენტისთვის. დარგისთვის აუცილებელი ცოდნის პარალელურად პროგრამა მიზნად ისახავს ფილოლოგიის ბაკალავრს შეეძლოს დარგის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გააზრება. დარგის სწავლებით ჩამოაყალიბოს ადამიანი აღჭურვილი ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.</p> <p>ისტორიის მინორის არჩევის შემთხვევაში, კურსდამთავრებულისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის ბაკალავრის კვალიფიკაციის გაღრმავების მიზნით, საქართველოს ისტორიის 60 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ისტორიის როგორც დარგისთვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებისთვის საჭირო ცოდნის დაუფლება. ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების განვითარების ცოდნა, როგორც ლიტერატურული მრავალფეროვნების საფუძველი.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის ადიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p>
	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და განვითარების შესახებ.</p>

<p>სწავლის შედეგები</p> <p>(ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს)</p>	<p>ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ცოდნა, მწერლობის პერიოდები, პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები როგორც ლიტერატურული პროცესების საფუძველი, ეპოქა, ავტორი, ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული ღირებულებების საკითხები</p> <p>ქართული ხალხური სიტყვიერება, ქართული მითოლოგიური პანთეონი, უძველესი ქართული წერილობითი წყაროების ისტორია, დამწერლობის სახეები, უძველესი ეპიგრაფიკული და წერილობითი წყაროები.</p> <p>საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხების ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიული წინამძღვრების გათვალისწინებით, ისტორიული მოვლენების როგორც სიტყვიერი კულტურისა და ლიტერატურული პროცესების განვითარების შესწავლა.</p> <p>ქართული ფილოსოფიური სკოლებისა და ლიტერატურული თეორიების ცოდნა, ქართული საისტორიო მწერლობა, კლასიკური ხანა, ქართული ემიგრაცია და კულტურული საქმიანობა, ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები და კულტურული კავშირები უძველეს ცივილიზაციებთან.</p> <p>თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ცოდნა, გრამატიკის საფუძვლები, ძველი ქართული ენის გრამატიკა.</p> <p>ქართული სალიტერატურო ენის ნორმების, ისტორიისა და დიალექტების ცოდნა</p>
	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>მას შეეძლება ქართული ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის სფეროში მიღებული ცოდნით ლიტერატურული პროცესებისა და მოვლენების შეფასება როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში</p> <p>დამოუკიდებელი და ჯგუფურად მუშაობის უნარი, წინასწარ განსაზღვრული გარკვეული ინსტრუქციების მიხედვით ასრულებს კვლევით სამუშაოებს</p> <p>ცალკეული პრობლემების მიმართ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. დარგობრივი სფეროსთვის შესაფერისი ზოგიერთი გამორჩეული მეთოდებისა და ეთიკური ნორმების გამოყენების შესაძლებლობა პრობლემების გადასაჭრელად.</p> <p>ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების ისტორიისა და თეორიის ცოდნის კვალიფიციურად გამოყენების უნარი, რომ შეძლოს მიღებული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას.</p> <p>ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურული მოვლენების პარალელურად განვითარების ასპექტების გააზრება.</p>
	<p>დასკვნის უნარი</p> <p>მას შეეძლება ენა, ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო დამოუკიდებლად მოიძიოს</p>

	<p>მონაცემები და გააანალიზოს მიღებული ინფორმაცია</p> <p>კურსდამთავრებულს შეეძლება ქართული ენისა და ლიტერატურის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურის (ბიბლიოგრაფიები, დოკუმენტები, ვებგვერდები, წყაროები) დამუშავება და სათანადოდ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.</p> <p>მიიღოს გადაწყვეტილება დარგთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, სიახლესა და მათი გამოყენების მეთოდებზე, შეძლოს სათანადოდ ორიენტირება მცირედი მეთვალყურეობის ფარგლებში.</p>
	<p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>შეეძლება კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშების მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა.</p> <p>აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი სასწავლებელთან არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით თავისუფლად დაეუფლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შეძლებს მათ მრავალმხრივად გამოყენებას.</p> <p>შეეძლება კომუნიკაცია უცხო ენაზე B2 დონე, რასაც ის დაადასტურებს საგანგებოდ ჩატარებულ გამოცდებზე. შეეძლება პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა.</p>
	<p>სწავლის უნარი</p> <p>შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად მართვა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის საჭირო გზების მოძიება</p> <p>შეუძლია გააანალიზოს და დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა სათანადო ინფორმაციის წყაროების მოძიებით</p>
	<p>ღირებულებები</p> <p>ახალი საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბება–ფორმირებაში მონაწილეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობა და ასევე მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p> <p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ და დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი,</p>

	<p>ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.).</p>
<p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) მაღლიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი</p>

	<p>ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს არქივებში, მუზეუმებში, მასმედიაში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.</p>
<p>სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფილოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.</p> <p>კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.</p>
<p>პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; • სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p>
<p>პროგრამის ადამიანური რესურსი</p>	<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)</p>

პროგრამის სტრუქტურა

<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:</p> <p>საუნივერსიტეტო საგნებს 30 კრედიტის ოდენობით ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 120 კრედიტს, რომელიც წარმოდგენილია სამი მოდულისა (ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის) და ცალკეული კურსების სახით ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსებს 15 კრედიტი (თავისუფალი კრედიტები) 15 კრედიტი დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი</p>	
<p>საუნივერსიტეტო საგნების 30 კრედიტი სავალდებულოა ყველასთვის</p>	<p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების საფუძვლზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესსა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში.</p> <p>საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენისა და აკადემიური წერის სწავლებას. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომუნიკაციის უნარისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამოუმუშავება. აღნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლებასა და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდენტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებისას არა აქვთ შეზღუდვა ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, ჩარიცხვის შემთხვევაში იყოფიან ჯგუფებად უცხო ენის ცოდნის დონეების მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ სათანადო საფეხურიდან.</p>
<p>ძირითადი სპეციალობის (major) საგნებს 120 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია სამი მოდულისა (ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის) და ცალკეული კურსების სახით</p>	<p>ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 120 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია სამი მოდულისა (ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის) და ცალკეული კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნულს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა.</p>

<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 15 კრედიტი</p>	<p>ძირითადი სპეციალობის არჩევით კურსების 15 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო მოდულების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი კურსების სია წარმოდგენილია სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სწავლისა და დასკვნის უნარის გამოუმუშავებისთვის საჭირო დამატებითი კომპეტენციებისთვის საჭირო სასწავლო კურსების სახით, რომლებიც მიზანშეწონილია სტუდენტმა გაიაროს ან ერთი რომელიმე მოდულის შესავსებად, ან სამივე მოდულის ფარგლებში თითო სასწავლო კურსის სახით. სასწავლო კურსები ხუთ-ხუთი კრედიტის ფარგლებში აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შეწვევის საშუალებას</p>
<p>თავისუფალი კრედიტი (15 კრედიტი)</p>	<p>აღნიშნული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს ეძლევა საშუალება მისთვის სასურველი სასწავლო კურსების ათვისების, როგორც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასევე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსებიდან. სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო კურსების ნუსხა, რომელთაგან სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები 15 კრედიტის ფარგლებში. აღნიშნული კრედიტების ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ეძლევა საშუალება ეღიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტის კრედიტების აღიარების პროცედურებს.</p>
<p>დამატებითი სპეციალობა (minor) 60 კრედიტი</p>	<p>აღნიშნული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს აძლევს საშუალებას დამატებით შეისწავლოს ინგლისური ფილოლოგიის ან ისტორიის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები 60 კრედიტის ფარგლებში. აღნიშნული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი მოქნილსა და რელევანტურს ხდის საერთაშორისო მობილობით მოსარგებლე სტუდენტთა კრედიტების აღიარების პროცედურას, რომლებმაც ისარგებლეს მინიმუმ ერთი აკადემიური წლით საზღვარგარეთ სწავლის საშუალებით სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში.</p>

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	ECTS კრედიტი/საათი ¹				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
			I წელი	II წელი	III წელი	IV წელი	ა	ბ

¹ ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

⁴ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

			საგანი\ მოდული	სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			საფაკულტეტო სავალდებულო კურსი										
1.	SFB.1		ქართული ფილოლოგიის შესავალი	5									
2.			საუნივერსიტეტო საგნები										
3.	SUB.1		აკადემიური წერა	5									
4.	SUB.2		საინფორმაციო ტექნოლოგიები	5									
	SUB.3		უცხო ენა										
5.	SUB.3.1		უცხო ენა	5									
6.	SUB.3.2		უცხო ენა		5								
7.	SUB.3.3		უცხო ენა			5							
8.	SUB.3.4		უცხო ენა				5						
			ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები										
9.	SGB1005.1		ენათმეცნიერების შესავალი		5								
8.	SGB1005.2		ქართული ფოლკლორი		5								
	SGB1005.3		ქართული ლიტერატურის ისტორია										
9.	SGB1005.3.1		ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია			5							
10.	SGB1005.3.2		XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია				5						
11.	SGB1005.3.3		ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია					5					
12.	SGB1005.3.4		უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია						5				
	SGB1005.4		ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები										
13.	SGB1005.4.1		ფონეტიკა-მორფოლოგია (სახელები)			5							
14.	SGB1005.4.2		მორფოლოგია (ზმნა)				5						
15.	SGB1005.4.3		სინტაქსი (მარტივი წინადადება)					5					
16.	SGB1005.4.4		სინტაქსი (შერწყმული რთული წინადადება)						5				
	SGB1005.5		მსოფლიო ლიტერატურის ისტორია										
17.	SGB1005.5.1		ანტიკური ლიტერატურის ისტორია		5								
18.	SGB1005.5.2		ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია			5							
19.	SGB1005.5.3		დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია				5						
20.	SGB1005.6		ლექსიკოლოგია					5					
21.	SGB1005.7		სტილისტიკა						5				

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
22.	SGB1005.8		ლიტმცოდნეობის შესავალი							5			
23.	SGB1005.9		ძველი ქართული ენა						5				
24.	SGB1005.10		ქართული სალიტერატურო ენის ისტორია							5			
25.	SGB1005.11		პალეოგრაფია							5			
26.	SGB1005.12		დიალექტოლოგია								5		
27.	SGB1005.13		ლიტერატურის თეორია							5			
28.	SGB1005.14		ზოგადი ენათმეცნიერება								5		
29.			საბაკალავრო ნაშრომი								10		
30.			თავისუფალი	5/5	5/5			5					
			<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>										
	SGB1005.15		ქართველური ენები		5			5		5			
	SGB1005.16		კულტუროლოგია										
	SGB1005.17		ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა										
	SGB1005.18		ფსიქოლინგვისტიკა										
	SGB1005.19		მითი და ქართული ლიტერატურის სახისმეტყველება										
	SHB1004.23		რელიგიის ისტორია										
	SGB1005.20		რუსთველი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება										
	SGB1005.21		ქართულ-ევროპული რომანტიზმი										
	SGB1005.22		ქართველი 60-იანელები და რეალისტური იდეოლოგია										
	SGB1005.23		გალაკტიონი										
	SEB100502.23		დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები										
	SGB1005.24		ამერიკული ლიტერატურა										
	SHB1004.30		ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია										
	SEB100502.25		History of culture										

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	SEB100502.25.1		History of Georgian Culture										
	SEB100502.25.2		History of European Culture										
			<i>დამატებითი სპეციალობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები</i>										
1.	SGB1005.2		ქართული ფოლკლორი			5							
2.	SGB1005.1		ენათმეცნიერების შესავალი			5							
	SGB1005.3		ქართული ლიტერატურის ისტორია										
3.	SGB1005.3.1		ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია				5						
4.	SGB1005.3.2		XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია					5					
5.	SGB1005.3.3		ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია						5				
6.	SGB1005.3.4		უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია							5			
	SGB1005.4		ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები										
7.	SGB1005.4.1		ფონეტიკა-მორფოლოგია			5							
10.	SGB1005.4.2		მორფოლოგია					5					
11.	SGB1005.4.3		სინტაქსი (მარტივი წინადადება)						5				
10.	SGB1005.4.4		სინტაქსი (შერწყმული და რთული წინადადება)							5			
			<i>ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები</i>								5/5		
			სემესტრში წელიწადში	30	30	30	30	30	30	30	30		
				60		60		60		60			

სწავლის შედეგების რუკა

#	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	SUB.1	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
2	SUB.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
	SUB.3	უცხო ენა			X	X	X	X
3	SUB.3.1	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
4	SUB.3.2	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
5	SUB.3.3	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
6	SUB.3.4	უცხო ენა	X	X	X	X	X	X
		<i>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და საგნები</i>						
7	SGB1005.1	ენათმეცნიერების შესავალი	X	X	X	X	X	X
8.	SGB1005.2	ქართული ფოლკლორი	X	X	X	X	X	X
	SGB1005.3	ქართული ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
9.	SGB1005.3.1	ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია	X	X	X	X	X	X
10.	SGB1005.3.2	XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია	X	X	X	X	X	X
11.	SGB1005.3.3	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
12.	SGB1005.3.4	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
	SGB1005.4	ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
13.	SGB1005.4.1	ფონეტიკა–მორფოლოგია (სახელები)	X	X	X	X	X	X
14.	SGB1005.4.2	მორფოლოგია (ზმნა)	X	X	X	X	X	X
15.	SGB1005.4.3	სინტაქსი (მარტივი წინადადება)	X	X	X	X	X	X
16.	SGB1005.4.4	სინტაქსი (შერწყმული რთული წინადადება)	X	X	X	X	X	X
	SGB1005.5	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
17.	SGB1005.5.1	ანტიკური ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
18.	SGB1005.5.2	ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
19.	SGB1005.5.3	დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია	X	X	X	X	X	X
20.	SGB1005.6	ლექსიკოლოგია	X	X	X	X	X	X
21.	SGB1005.7	სტილისტიკა	X	X	X	X	X	X
22.	SGB1005.8	ლიტმცოდნეობის შესავალი	X	X	X	X	X	X
23.	SGB1005.9	ძველი ქართული ენა	X	X	X	X	X	X
24.	SGB1005.10	ქართული სალიტერატურო ენის ისტორია	X	X	X	X	X	X
25.	SGB1005.11	პალეოგრაფია	X	X	X	X	X	X
26.	SGB1005.12	დიალექტოლოგია	X	X	X	X	X	X
27.	SGB1005.13	ლიტერატურის თეორია	X	X	X	X	X	X
28.	SGB1005.14	ზოგადი ენათმეცნიერება	X	X	X	X	X	X
29.		საბაკალავრო ნაშრომი		X	X	X	X	X
30.		თავისუფალი						
	SGB1005.15	ქართველური ენები	X	X	X	X	X	X
	SGB1005.16	კულტუროლოგია	X	X	X	X	X	X
	SGB1005.17	ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა	X	X	X	X	X	X
	SGB1005.18	ფსიქოლინგვისტიკა	X	X	X	X	X	X

SGB1005.19	სიმბოლისტები	X	X	X	X	X	X
SGB1005.20	ლექსთმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
SGB1005.21	მითი და ქართული ლიტერატურის სახისმეტყველება	X	X	X	X	X	X
SGB1005.22	რელიგიის ისტორია	X	X	X	X	X	X
SGB1005.23	რუსთველი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება	X	X	X	X	X	X
SGB1005.24	ქართულ-ევროპული რომანტიზმი	X	X	X	X	X	X
SGB1005.25	ქართველი 60-იანელები და რეალისტური იდეოლოგია	X	X	X	X	X	X
SGB1005.26	მესამე დასი (ხალხოსნები)	X	X	X	X	X	X
SGB1005.27	გალაკტიონი	X	X	X	X	X	X
SGB1005.28	წითელი პერიოდის მწერლობა	X	X	X	X	X	X
SGB1005.29	დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები	X	X	X	X	X	X
SGB1005.30	ქართული საისტორიო მწერლობა	X	X	X	X	X	X
SGB1005.31	ამერიკული ლიტერატურა	X	X	X	X	X	X
SGB1005.32	ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია	X	X	X	X	X	X
SEB100502.25	History of culture						
SEB100502.25.1	History of Georgian Culture	X	X	X	X	X	X
SEB100502.25.2	History of European Culture	X	X	X	X	X	X

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

№			
	აკადემიური წერა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	საინფორმაციო ტექნოლოგიები	რევაზ ხაინდრავა	ეკონომიკის დოქტორი
	უცხო ენა	მაკა შეროზია	მასწავლებელი
	უცხო ენა	ეკა მალანია	მასწავლებელი
	უცხო ენა	მაკა შეროზია	მასწავლებელი
	უცხო ენა	სოფიო კვარაცხელია	მასწავლებელი
	ენათმეცნიერების შესავალი	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ფოლკლორი	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია	ხათუნა გოგია	ფილოლოგიის დოქტორი
	XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია	ნესტან ფიფია	ფილოლოგიის დოქტორი
	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია	ზეინაბ სარია	ფილოლოგიის დოქტორი
	ფონეტიკა-მორფოლოგია (სახელები)	რევაზ შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
	მორფოლოგია (ზმნა)	რევაზ შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
	სინტაქსი (მარტივი წინადადება)	თეონა ხუფენია	ფილოლოგიის დოქტორი
	სინტაქსი (შერწყმული რთული წინადადება)	თეონა ხუფენია	ფილოლოგიის დოქტორი
	ანტიკური ლიტერატურის ისტორია	ლალი ჭითანავა	ფილოლოგიის დოქტორი
	ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია	ლალი ჭითანავა	ფილოლოგიის დოქტორი
	დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია	ლალი ჭითანავა	ფილოლოგიის დოქტორი

	ლექსიკოლოგია	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	სტილისტიკა	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
	ლიტმცოდნეობის შესავალი	ზეინაბ სარია	ფილოლოგიის დოქტორი
	ძველი ქართული ენა	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	ქართული სალიტერატურო ენის ისტორია	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	პალეოგრაფია	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	დიალექტოლოგია	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
	ლიტერატურის თეორია	ზეინაბ სარია	ფილოლოგიის დოქტორი
	ზოგადი ენათმეცნიერება	ასმათ შონია	ფილოლოგიის დოქტორი
21	ქართველური ენები	რევაზ შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
22	კულტუროლოგია	ხათუნა გოგია	ფილოლოგიის დოქტორი
23	ქართველური ენების შედარებითი გრამატიკა	რევაზ შეროზია	ფილოლოგიის დოქტორი
24	ფსიქოლინგვისტიკა	ლუიზა ხაჭაპურიძე	ფილოლოგიის დოქტორი
25	მითი და ქართული ლიტერატურის სახისმეტყველება	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
26	რელიგიის ისტორია	ნესტან კვარაცხელია	მასწავლებელი
27	რუსთველი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
28	ქართულ-ევროპული რომანტიზმი	ნესტან ფიფია	ფილოლოგიის დოქტორი
29	ქართველი 60-იანელები და რეალისტური იდეოლოგია	ნესტან ფიფია	ფილოლოგიის დოქტორი
30	გალაკტიონი	ზეინაბ სარია	ფილოლოგიის დოქტორი
31	დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები	ლალი ჭითანავა	ფილოლოგიის დოქტორი
32	ამერიკული ლიტერატურა	ლალი ჭითანავა	ფილოლოგიის დოქტორი
33	ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია	ავთანდილ თორდია	მასწავლებელი
34	History of Georgian Culture	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
35	History of European Culture	ბელა მოსია	ფილოლოგიის დოქტორი
